MES 6 21 0000051697

02/02/2021

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2021 წლის ორ თებერვალს. (02.02.2021)**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისსაბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

თამარ ზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
ნუგზარ სხირტლაძე - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო დარგში, პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
თამარ ლაღიძე - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამის სტუდენტი - საბჭოს მდივანი;
დავით ბოსტოღანაშვილი - შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
ნინო ინასარიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის „გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია“ და სამაგისტრო პროგრამის „გამოყენებითი ბიომეცნიერებები“ ხელმძღვანელი;
მაია მანწკავა - სსიპ - ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის რეოლოგიისა და დიაგნოსტიკურ - ანალიტიკური სერვისების განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერ - თანამშრომელი;
მორისი შალიკაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
თამარ იოსელიანი - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორი;
ირმა ჭანტურია - შპს „ღვინის ლაბორატორიის“ დირექტორი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) წარმომა დგენლები:
ნინო სარჯველაძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

1. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

1. კახაბერ კორძაია - უნივერსიტეტის რექტორი,
2. მარინა გედევანიშვილი - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი,
3. ვახტანგ მაისაია - პროგრამის ხელმძღვანელი
4. მარია ესპონა - უცხოელი ექსპერტი, რომლის ჩართვას უზრუნველყოფს ავტორიზაციის საბჭოს მდივანი თამარ ლაღიძე.

2. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

1. რექტორი, სერგო ვარდოსანიძე,
2. კანცლერი, თამაზ ვაჩაძე,
3. ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი, პაატა გოგიშვილი,
4. ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილე, ლიკა გიორგაძე,
5. ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ლევან ქისტაური,
6. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის დეკანი, ლევან ჯიქია,
7. სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი, ჯაბა მესხიშვილი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):
ნინო ფავლენიშვილი;
გიორგი გვალია;
თინათინ გაბრიჩიძე

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 14:00 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ზარანდიამ.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტისათვის “გლობალური პოლიტიკისა და უსაფრთხოების კვლევების” (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა;

2. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით:

შუამდგომლობის ინიციატორი: სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი, ნინო სარჯველაძე

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გაცნო დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. 2020 წლის 24 დეკემბრის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს №1227672 სხდომის ოქმში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;

1. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტისათვის “გლობალური პოლიტიკისა და უსაფრთხოების კვლევების” (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ანგარიშის განხილვა.

1. 2020 წლის 24 დეკემბრის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს №1227672 სხდომის ოქმში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;

ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ შუამდგომლობა ეხებოდა 2020 წლის 24 დეკემბრის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს №1227672 სხდომის ოქმში ტექნიკური ხარვეზის გასწორებას, კერძოდ, საბჭოს სხდომა გაიმართა 2020 წლის 10 დეკემბერს და პირველ საკითხად განიხილებოდა შპს ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მონიტორინგის შედეგები. საბჭომ ზეპირი მოსმენის შედეგად შეცვალა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მე-3 „საგანმანათლებლო პროგრამები“ სტანდარტის 3.1 „**საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება**“ კომპონენტი და ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ ავტორიზაციის სტანდარტებთან, ხოლო აღნიშნული არ არის ოქმში ასახული. შესაბამისად სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა, ნინო სარჯველაძემ დააყენა შუამდგომლობა, რომ ოქმში ნათლად მიეთითოს შეფასების აწევის საკითხი.

საბჭოს წევრებმა კენჭისყრაზე დააყენეს აღნიშნული საკითხი

კენჭისყრა:
მომხრე - 9
მოწინააღმდეგე -0

გადაწყვიტა:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე კენჭისყრისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის და ამავე კანონის 63-ე მუხლის საფუძველზე, გასწორდეს 2020 წლის 24 დეკემბრის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს №1227672 სხდომის ოქმში დაფიქსირებული ხარვეზი და გადაწყვეტილების ნაწილს დაემატოს ჩანაწერი „საბჭომ ზეპირი მოსმენის შედეგად შეცვალა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მე-3 „საგანმანათლებლო პროგრამები“ სტანდარტის 3.1 „საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება“ კომპონენტის შეფასება და ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“

2. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტისათვის „გლობალური პოლიტიკისა და უსაფრთხოების კვლევების“ (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა;

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება. საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ მათ ჰქონდათ თვითაცილება და/ან აცილება. თვითაცილება განაცხადა საბჭოს წევრმა თამარ ლაღიძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ ასევე მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება, დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ

წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა ისაუბრა განსაზღვრულ რეკომენდაციებზე, კერძოდ:

რეკომენდაციები სტანდარტთან მიმართებით:

1. გასწორდეს პროგრამის სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
2. შემუშავდეს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის კონკრეტული გეგმა როგორც სტუდენტების, ისე უცხოელი აკადემიური პერსონალის მოსაზიდად;
3. დაიგეგმოს და ჩატარდეს ტრენინგები აკადემიური პერსონალის განვითარებისათვის; ფოკუსირება გაკეთდეს კვლევის მეთოდოლოგიების ტრენინგებზე;
4. პროგრამის სტაბილურობისათვის ინგლისურენოვანი აკადემიური პერსონალის მოზიდვა;
5. გაიზარდოს მაგისტრანტთა ინფორმირების დონე პლაგიატის აღმოჩენისა და მასზე რეაგირების მექანიზმების შესახებ, სხვადასხვა საინფორმაციო ღონისძიების დაგეგმვის და განხორციელების გზით უნივერსიტეტში სწავლის დაწყებისთანავე;
6. მნიშვნელოვანია გადაკეთდეს პროგრამის SWOT ანალიზი;
7. კურსი „უსაფრთხოების კვლევის მეთოდები“ მოდიფიცირდეს და მასში მეტი აქცენტი გაკეთდეს კვლევის მეთოდების სწავლებაზე;
8. კურსებს შორის თემატური გადაფარვების პრობლემის აღმოსაფხვრელად, კრიტიკულად გადაიხედოს აღწერითი მიმოხილვის და ანალიზის ნაწილში აღნიშნული კურსები;
9. გადაიხედოს კურსი „გლობალური პოლიტიკის პრობლემები“ შესასწავლი საკითხების არეალის გაფართოების მიმართულებით;
10. გადაიხედოს პროგრამაში ქიმიური, რადიაციული, ბიოლოგიური და ბირთვული იარაღის საკითხებზე არსებული კურსები და მოხდეს მათი გაერთიანება, რადგან, ჩვენი შეფასებით, არაპროპორციულად დიდი ადგილი ეთმობა ამ საკითხებს პროგრამის ფარგლებში;
11. დაზუსტდეს უცხოელი ექსპერტების ჩართულობის ფორმა;
12. დაზუსტდეს ჩანაწერი უცხოელ სტუდენტთა ხელშეკრულებაში, სწავლის საფასურის ცვლილებასთან დაკავშირებით, იმ ფორმით, რა ფორმითაც ის ქართველი სტუდენტების ხელშეკრულებაშია;
13. რეკომენდებულია, დაწესებულებამ შეიმუშავოს საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფის გრძლევადიანი გეგმა, რომელიც განსაზღვრავს პროგრამის ხარჯებს თუ შემოსავლებს საგრანტო დაფინანსების დასრულების შემდეგ.

საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ზარანდამ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.
დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს კონსტრუქციული ვიზიტისთის და აღნიშნა, რომ ექსპერტთა დასკვნის შესაბამისად, რეკომენდაციების გათვალისწინების შემთხვევაში, დაწესებულებას შეეძლო

პროგრამის განხორციელება. გარდა ამისა, ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროგრამა გამოირჩეოდა სასწავლო კურსთა მრავალფეროვნებით, რელევანტური სწავლებისა და შეფასების მეთოდებით და ორიენტირებული იყო კვალიფიკაციური კადრების მომზადებაზე.
დაწესებულების წარმომადგენელმა ისაბრა ექსპერტთა მიერ გასნაზღვრულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით და პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს სტრატეგიული გეგმა შემუშავებული აქვს 2018-2024 წლისათვის. მასში განსაზღვრული იყო უნივერსიტეტის სტრატეგიული მიმართულებები, რომელთაგან პირველია საგანმანათლებლო საქმიანობა. მასში ერთ-ერთი პრიორიტეტს წარმოადგენდა ახალი პროგრამების განვითარება. დაწესებულებსათვის გაურკვეველია, თუ რას გულისხმობდნენ ექსპერტები რეკომენდაციაში და რის საფუძველზე წერდნენ, რომ პროგრამის სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი შესაბამისობაში უნდა მოვიდეს უნივერსიტეტის სტრატეგიულ გეგმასთან.
რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, უნივერსიტეტს შემუშავებული და წარმოდგენილი აქვს ინტერნაციონალიზაციის ზოგადი პოლიტიკა. გარდა, ამისა, რადგან უნივერსიტეტი ახორციელებდა მედიცინისა და სტომატოლოგიის ერთსაფეხურიან, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და საერთაშორისო მარკეტინგის სამაგისტრო პროგრამებს, 2013 წლიდან მოყოლებული რეკრუტერებთან და სხვადასხვა ქვეყნის უცხოელ აგენტებთან თანამშრომლობის გამოცდილება ჰქონდა. ავტორიზაციის საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, უცხოელი აგენტები მზად არიან ინფორმაცია აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის შესახებ თავიანთ ქვეყნებში გაავრცელონ და მოიზიდონ პროგრამაზე სწავლის მსურველები. გარდა ამისა, უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული სამაგისტრო პროგრამის 2021 წლის ბიუჯეტის პირველ ნახევარში გათვალისწინებული იყო თანხები PR აქტივობებზე. ამასთან, როგორც ყველა დანარჩენი უცხოენოვანი პროგრამის შესახებ, ინფორმაცია ახალი ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის შესახებაც განთავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაზე, რაც ხელმისაწვდომი იქნება პროგრამაზე სწავლის მსურველი, ნებისმიერი უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის.
მნიშვნელოვანია ასევე დაწესებულების პოზიცია მე-3 და მე-5 რეკომედნაციასთან დაკავშრებით, კერძოდ, მათ აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტში არაერთი ტრენინგი ჩატარდა აღნიშნული მიმართულებით, რაც შეეხება ტრენინგებს აკადემიური პერსონალის განვითარებისათვის, კვლევის მეთოდოლოგიების საკითხებზე, გასულ წელს ჩატარდა ორი ტრენინგი უცხოელი ექსპერტების ჩართულობით. არაერთი ასეთი ტრენინგია ჩატარებული უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მიერ. აკადემიური პერსონალის განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებები უნივერსიტეტში მომავალშიც აუცილებლად გაიმართება. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა დეტალური ჩამონათვალი ჩატარებული ტრენინგ-კურსებისა, ასევე ღონისძიების შესახებ განთავსებული ინფორმაციის ბმულები და მონაწილეთა სერთიფიკატები.

საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ზარანდიამ დააზუსტა ინტერნაციონალიზაციის საკითხი და აღნიშნა, რომ ექსპერტების დასკვნაში მითითებული იყო ინტენაციონალიზაციის გაძლიერება, რომელიც მოემსახურება უცხოეული პროფესორების მოზიდვას, შესაბამისად დაინტერესდა თუ რა ღონისძიებების გატარებას გეგმავდა დაწესებულება აღნიშნული მიმართულებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყო სამი უცხოელი ექსპერტი, რომელთაგან ერთ-ერთ წარმოდგენილი იყო ავტორიზაციის საბჭოზე. აღნიშნული ექსპერტები ასვე მონაწილეობას მიიღებენ პროგრამის განხორციელებასა და განვითარებაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა მე-4 რეკომენდაციასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი მუდმივად ზრუნავდა

მაღალკვალიფიციური პერსონალის მოზიდვაზე, არა მხოლოდ ამ პროგრამის, არამედ ნებისმიერ მოქმედი პროგრამის ფარგლებში. ამ პროგრამის შემუშავებამდე, კონკურსის წესით არიან აკადემიურ თანამდებობაზე დანიშნულნი ასოცირებული პროფესორები: ნიკოლოზ ჩიტაძე, პეტრე მამრაძე და ასისტენტ-პროფესორი ეკა ბერაია. გარდა ამისა, უკვე აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პროფესორები მაღალ დონეზე ფლობენ ინგლისურ ენას და დამატებით პროფესორთა მოზიდვის აუცილებლობა არ დამდგარა, თუმცა, სამომავლოდ, უნივერსიტეტი, საჭიროების შემთხვევაში, აუცილებლად მოიზიდავს ინგლისურენოვან აკადემიურ პერსონალს.

რაც შეეხება მე-13 რეკომენდაციას, დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ ყოველი კალენდარული წლის დასაწყისში, უნივერსიტეტის რექტორი ამტკიცებდა თითოეული ფაკულტეტისა და ყველა მოქმედი პროგრამის ბიუჯეტს. რაც შეეხება აღნიშნულ სამაგისტრო პროგრამას, როგორც პროექტის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებიდან ირკვეოდა, პირველი ორი წლის განმავლობაში უცხოელთა მხრიდან დაფინანსდებოდა მაქსიმუმ 30 უცხოელი სტუდენტი. გარდა ამისა, მომზადებულია პროგრამის ბიუჯეტი, რომლის მიხედვითაც 2021 წლის პირველ ნახევარში თანხები გათვლილი იყო პროგრამის რეკლამირებასა და PR აქტივობებზე, ხოლო 2021 სასწავლო წლის მეორე ნახევარში კი, უკვე სასწავლო პროცესზე. 2021 წლის სექტემბრიდან გათვალისწინებულია პროგრამაზე 15 ქართველი და 15 უცხოელი სტუდენტის მიღება. რაც შეეხება სწავლის საფასურს, უცხოელი სტუდენტებისთვის სწავლის საფასური იქნება 3000$ ხოლო ქართველი სტუდენტებისთვის - 3000 ლარი. პროფესორთა ხელფასები გათვლილია ზუსტად იმ ოდენობით, რა ოდენობითაც პროექტის ფარგლებში იყო გათვალისწინებული.

გარდა ამისა, ვინაიდან პირველი 30 უცხოელი სტუდენტის სწავლების ხარჯებს ორი წლის განმავლობაში პროექტი დააფინანსებს, უნივერსიტეტის კანცლერის გადაწყვეტილებით, ეს სტუდენტები გათავისუფლდებიან სწავლის საფასურისაგან.

აღსანიშნავია ასევე ექსპერტთა მიერ განსაღვრული მე-6 რეკომენდაცია, კერძოდ, უნივერსიტეტის მიერ თანმდევ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი იყო „პროგრამის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“, სადაც თავებად იყო გაწერილი ისეთი ზოგადი საკითხები, როგორიცაა: დაინტერესებული მხარეების და მათი როლის განსაზღვრა პროგრამის შედგენისას; პროგრამასთან დაკავშირებული შიდა და გარე მონაცემების ანალიზი; საგანმანათლებლო პროგრამის SWOT ანალიზი, რომელშიც გაწერილი იყო ზოგადად: პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები; საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების გეგმა; პროგრამის განხორციელების პროცესში კომუნიკაციის სტრატეგია და პერიოდულობა დაინტერესებულ მხარეებთან; საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესის და სტრატეგიის შეფასება. რაც შეეხება აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის განხორციელების პროცესში გამოვლენილ თავისებურებებს და პრობლემებს, მუდმივად აისახება აღნიშნულ SWOT ანალიზში და სისტემატურად მოხდება მისი მოდიფიცირება, პრობლემების აღმოფხვრის მიზნით.

მე-7 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სასწავლო კურსის განმახორციელებლის, პროფესორ ვახტანგ მაისაიას განმარტებით, "უსაფრთხოების კვლევების უნიკალურობისა და ინოვაციური მოდელირების ფაქტორის გათვალისწინებით, სილაბუსში აქცენტი გაკეთებული იყო უსაფრთხოების მიმართულებებით საინფორმაციო-ანალიტიკური და აკადემიური კვლევების სიმბიოსზე. აღნიშნული სილაბუსი მომზადებული იყო სწორედ ამგვარი ტექნოლოგიის შესაბამისად, როგორც ერთგვარი ექსპერიმენტის სახით და მასში ნაწილობრივ აისახა უსაფრთხოების კვლევების მეთოდების ერთობლიობა. გარდა ამისა, აღნიშნულ სილაბუსში გათვალისწინებული იყო დასავლეთის უმაღლესი სასწავლებლების გამოცდილება, სადაც ასეთი ტექნოლოგია კარგად არის

აპრობირებული. მიუხედავად ამისა, უნივერსიტეტის მიერ გათვალისწინებულ იქნა ექსპერტთა რეკომენდაცია, მოდიფიცირდა „უსაფრთხოების კვლევის მეთოდების“ სილაბუსი და წარმოდგენილია არგუმენტირებული პოზიციის დანართის სახით.
მნიშვნელოვანია ასევე დაწესებულების პასუხი მე-8 რეკომენდაციაზე, კერძოდ, როგორც დასკვნიდან ირკვევა, საუბარია სასწავლო კურსებზე: „უსაფრთხოების თანამედროვე გამოწვევების თეორია და პრაქტიკა“, „ეროვნული უსაფრთხოების კვლევების ანალიზი და სტრატეგიის დაგეგმვა“ და „უსაფრთხოების კვლევის მეთოდები, სადაც გვხვდება თემატური გადაფარვები“. პროგრამის ხელმძღვანელისა და სასწავლო კურსების განმახორციელებელ პროფესორთა მიერ კიდევ ერთხელ იქნა გადამოწმებული სასწავლო კურსების თემატიკა და მათი განმარტებით, ამ სილაბუსებში თემატიკის გადაფარვა არ ხდება.
რაც შეეხება მე-9 რეკომენდაციას, უნივერსიტეტის მიერ გათვალისწინებულ იქნა ექსპერტთა რეკომენდაცია „გლობალური პოლიტიკის პრობლემების“ სასწავლო კურსში გარკვეული თემატიკის დამატებასთან დაკავშირებით. კერძოდ, მოდიფიცირდა სილაბუსი, სასწავლო კურსის შინაარსს დაემატა ის თემები, რომლებზეც ექსპერტები მიუთითებენ, კერძოდ: საერთაშორისო განვითარება, გლობალური სიღარიბე, გლობალური ეკოლოგიური პრობლემები, გლობალური ჯანდაცვის გამოწვევები (გლობალური პანდემიები), საერთაშორისო მიგრაცია, ადამიანის უფლებები.

რაც შეეხება მე-12 რეკომენდაციას, უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ, უცხოელ სტუდენტთან გასაფორმებელ ხელშეკრულებაში პირდაპირ იყო მითითებული, რომ სწავლის საფასური არ გაიზრდებოდა და პროგრამის დამთავრებამდე დარჩებოდა იგივე. განსხვავებული ჩანაწერია ქართულენოვანი პროგრამების სტუდენტთათვის, რომელიც უშვებს სწავლის საფსურის გაზრდის შესაძლებლობას, რადგან, ქართველი სტუდენტების მიერ სწავლის საფასურის გადახდა ხდება დოლარის ექვივალენტად ლარში და ლარის არასტაბილურობიდან გამომდინარე, მეტი რისკია მისი გაუფასურებისა.

დაწესებულების ხარისხის სამსახურის უფროსმა ასევე ისაუბრა ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ რჩევებთან დაკავშირებით, კერძოდ, ეთიკის კომისიასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ეთიკის კოდექსში 2020 წლის ნოემბრის თვეში შეტანილია ცვლილება, რომლის თანახმადაც ეთიკის კომისია არის მუდმივი შემადგენლობით და მისი როტაცია ხდება რექტორის ბრძანებით. ეთიკის კომისიაში კვოტა აქვს სტუდენტურ თვითმმართველობას, რადგან ეს ორგანო არის სტუდენტთა მიერ არჩეული ორგანო და უკეთესი კრიტერიუმი სტუდენტის შერჩევის რა შეიძლება იყოს, თუ არა ეთიკის კომისიაში თვითმმართველობის ორგანოს მიერ დასახელებული სტუდენტის ჩართვა, რომელიც არ არის სტუდენტური თვითმმართველობის წევრი.

რაც შეეხება რჩევას აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებით, უნივერსიტეტში მოქმედ, ნებისმიერ პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი მონაწილეობას იღებდა: პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების/მოდიფიცირების, განხორციელების, მონიტორინგისა და განვითარების პროცესებში. ის, რომ აღნიშნული პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი ნამდვილად იყო ჩართული პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების პროცესებში, იქიდან ჩანს, რომ პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად მათ მიერ იქნა ჩამოყალიბებული პროგრამის სტრუქტურა და შემუშავებულია თითოეული სილაბუსი. მოქმედი პროგრამების განხორციელების შემთხვევაში აკადემიური პერსონალი ატარებდა წაკითხული სასწავლო კურსების ფარგლებში სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასებას გაუსის განაწილების მეთოდით, რომელსაც აანალიზებდა პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად და იკვლევდა არასასურველი სწავლის შედეგების მიზეზებს. საჭიროების შემთხვევაში, პროფესორი და პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად სახავდა გზებს არსებული პრობლემების გამოსასწორებლად. ცხადია, აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის

განმახორციელებელ თითოეულ პროფესორსაც ექნება საშუალება ყველა ეტაპზე ჩართული იყოს პროგრამის განხორციელების, მონიტორინგისა და განვითარების პროცესებში.

პროგრამის ხელმძღვანელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისათვის და აღნიშნა, რომ პროგრამა საქართველოს მასშტაბით არის უნკალური, რადგანაც პირველად ხდება საკვალიფიკაციო ჩარჩოში უსაფრთხოების კვლევების მიმართულების განვითარება, ისეთი ძლიერი სახელმწიფოთაშრისო ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, როგორიცაა, ,,მეცნიერებისა და ტექნოლოგიების საერთაშორისო ორგანიზაცია", რომელიც წარმოადგენს სპეციალური ტიპის გაერთიანებას და მუშაობს სწორედ მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელობის რეჟიმებსა, ასიმეტრული სტრატეგიული საფრთხეების პრევენციისა და მათი მოდელირების წარმოჩენის წინააღმდეგ. აღნიშნული ორგანიზაციის მიერ შეიქმა სამეცნიერო-აკადემიური კორნსორციუმი, რომელშიც ასევე შესულია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი. პროგრამა მოიცავდა არა მარტო ეროვნულ მასშტაბებს, არამედ ევროპულ უსაფრთხოების სივრცესაც.

პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე ისაუბრა ინტერნაციონალიზაციის საკითხთან დაკავშირებით და განმარტა, რომ მრავალმა პროფესორმა გამოთქვა თანამშრომლობის სურვილი პროგრამის ფარგლებში. ერთ-ერთ მათგანს წარმოადგენს ფრიდრიხ ნაუმანის ინსტიტუტის დირექტორი, რომელიც წარმოადგენს ყველაზე გავლენიან ევროპულ უსაფრთხოების კვლევების ინსტიტუტს. ამავე დროს დაწესებულებას დაუკავშრდა გონსალო ტარდინი, რომელიც იყო არგენტინის თავდაცვის მინისტრის მოადგილე და ასევე პროფესორი. აღსანიშნავია ასევე გენერალი ტოიტანი, რომელიც იყო პოლონეთის გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი. დაწესებულებამ ასევე გააფორმა მემორანდუმი საქართველოს სტრატეგიული ანალიზის ცენტრთან, რომელიც დაფუძნებულია USAID-ის მიერ. მემორანდუმი ფარგლებში, სტუდენტებს ექნებათ შესაძლებლობა ჩაერთონ ცენტრის მიერ ორგანიზებულ აქტივობებში, ლექციებსა და სემინარებში. პროგრამის განვითარებაში ასევე ჩართულნი არიან უცხოელი ექპერტები და მკვლევრები.

დაწესებულებამ მოახდინა ექსპერტთა რეკომენდაციების გათვალისწინება და უსაფრთხოების კვლევასთან ერთად დაემატა სოციალური კვლევების ნაწილი, თუმცა კვლავ განიხილება მეთოდების საკითხები, რადგან კურსი ძირითადად ეხებოდა კვლევას. დაწესებულებამ მოცემულ შემთხვევაში გაიზირა ვარშავისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცდილება.

ასევე გათვალისწინებულია რეკომენდაცია ,,გლობალური პოლიტიკის"სასწავლო კურსში. ,,ეროვნული უსაფრთხოების" კურსშიამოღებული იქნა კვლევის ნაწილი. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე დეტალურად განიხილეს გადაფარვის საკითხი და დადგინდა, რომ გადაფარვა სახეზე არ იყო. სილაბუსები შედგენილი იყო იმ მოდელით, რომლებიც გამოიყენებოდა ეროვნული უსაფრთხოების მოდელირებასა და დაგეგმარების პროცესის ფორმატში. დაწესებულების მიერ გამოყენებული იქნა მარშალის სტრატეგიულ კვლევათა კოლეჯის მეთოდოლოგია, შესაბამისად, ,,ეროვნული უსაფრთხოება" გამოიყო ცალკეულ სასწავლო კურსად, ასევე ცალკე გამიყო ,,საფრთხეების კვლევა" და ,,კვლევის მეთოდები", შესაბამისად, შეუძლებელია გადაფარვა ამ სამი სასწავლო კურსის თემატიკებს შორის. დაწესებულება აქტიურად თანამშომლობდა მარშალის კოლეჯთან, რომლის წარმომადგენლებიც აქტიურად უნდა ჩართულიყვნენ საგანმანათლებლო პროცესში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ისაუბრა მეთოდოლოგიის დოკუმენტთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სტრატეგიულ კვლევათა კოლეჯის მეთოდოლოგია იყო ზოგადი და შაბლონური. მოცემულ დოკუმენტში გაწერილი იყო ბაკალავრიატის საფეხურის

სტრატეგიული განვითარება, რისგანაც გამომდინარეობდა ექსპერტთა რეკომენდაცია. მნიშვნელოვანია აღნშნული დოკუმენტი მოდიფიცირდეს კონკრეტულად მოცემული პროგრამის შესაბამისად.

ექსპერტთა ჯგუფი რა თქმა უნდა გაეცნენ დაწესებულების ინტერნაციონალიზაციის გეგმასა და სტრატეგიას, თუმცა უშუალოდ ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში ბუნდოვანი იყო თუ რაში მდგომარეობდა კონკრეტულად ამ პროგრამის მიხედვით უცხოელ სტუდენტთა მოზიდვის გეგმა. აღსანიშნავია, რომ პროგრამა არის ინგლისურენოვანი, შესაბამისად, ორიენტირებულია უცხოელი სტუდენტების მოზიდვაზე, აქედან გამომდინარე არსებული ინტერნაციონალიაციის სტრატეგია და გეგმა საჭიროებდა მეტ კონკრეტიკას. თუ პროგრამას აქვს ამბიცია, რომ ის გავიდეს საერთაშორისო დონეზე, მაშინ მას აუცილებლად უნდა ჰყავდეს უცხოეული აკადემიური პერსონალი. ექსპერტთა რეკომენდაცია ასევე გულისხმობდა უცხოელ ექსპერტთა ჩართულობას, რაც გამომდინარეობდა იქიდან, რომ პროგრამა მიბმული იყო პროექტს, რომელიც, 2 წლის განმავლობაში გრძელდებოდა, შესაბამისად 2 წლის განმავლობაში პროგარმა იქნებოდა დაფინანსებული, თუმცა არ ჩანს თუ როგორ გააგრძელებს უნივერსიტეტი განვითარებას 2 წლის შემდგომ და რამდენად იქნებიან მასში ჩართული უცხოელი ექსპერტები.

ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ პროგრამაში წარმოდგენილი SWOT ანალიზი იყო საკმაოდ ზოგადი და საჭიროებს კონკრეტიკასა და დაზუსტებას.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე გამოყო პლაგიატის საკითხი და განმარტა, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას ჰქონდა პლაგიატის პროგრამა, თუმცა სტუდენტები და კურსდამთავრებულები არ ფლობენ აღნიშნულ ინფორმაციას.

ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა ასევე უსაუბრა უცხოელ სტუდენტთა ხელშეკრულებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ხელშეკრულების გადამოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ დაწესებულება უფლებამოსილია გაზარდოს გადასახადი გონივრულ ფარგლებში.

დაწესებულების ხარისხის განვითარების სამსახურის უფროსმა ყურადრება გაამახვილა მეთოდოლოგის დოკუმენტთა დაკავშირებით და აღნიშნა, რომ დოკუმენტს ერქვა - ,,საგანმანათლებლო პროგრამის სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგია“. ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, თავად შინაარსში მითითებული იყო ცხრილი 2, რომელიც შეეხებოდა საბაკალავრო საფეხურს, თუმცა დოკუმენტი არ მოიცავდა ბაკალავრის საფეხურს, აღნიშნული წარმოადგენდა საგანმანათლებლო პროგრამის სტრატეგიული განვითარების მეთოდოდლოგიას.

დაწესებულების წარმომადგენელმა უცხოელ სტუდენტთა ხელშეკრულებებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სწავლის დამთავრებადმე გადასახადი არ შეიცვლებიდა, თუმცა არავინ იცის თუ რა მდგომარეობა იქნება მომავალში. არასოდეს ყოფილა უნივერსიტეტში შემთხვევა, რომ სწავლის საფასური გაზრდილიყო რომელიმე სტუდენტთან მიმართებაში, ვიდრე ის არ დაამთავრებდა პროგრამას.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტეს ნაყოფიერი მუშაობისა და მნიშვნელოვანი რეკომენდაციებისთვის.

თავისი პოზიცია დააფიქსირა ასევე საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოზე მოწვეულმა უცხოელმა ექპერტმა და აღნიშნა, რომ პროგრამაში გათვალისწინებული სილაბუსები იყო სპეციფიური და მასში მოცემული იყო საკმაოდ მნიშვნელოვანი თემატიკა.

პროგრამა თავისი შინაარსით იყო დაბალანსებული. მნიშვნელოვანია ასევე ექსპორტ-იმპორტის თემატიკის სასწავლო კურსები, რომლებიც ასევე იყო განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე. პროგრამაში მოცემული იყო საგნები, რომელებიც აპრობირებული იყო საერთაშორისო დონეზე და სტუდენტებსაც ზოგადი წარმოდგენა ჰქონდათ მათზე, თუმცა, ისეთი სპეციფიკური საგანი, როგორც არის ექსპორტ-იმპორტი, იყო საკმაოდ, აქტუალური და მნიშვნელოვანი. აღსანიშნავია ასევე, თუ რატომ იყო აღნიშნული საკითხები მნიშვნელოვანი საქართველოსთვის. საქართველო იყო ჩართული ამერიკისა და ევროკავშრის პროექტებში მოცემული სპეციფიური თემატიკიდან გამომდინარე, რის შედეგადაც საქართვეოს გადმოეცა ახალი ტექნიკა-დანადგარები, აღნიშნული საკიტხის მოსაწესრიგებლად მომზადდა ასევე საკანონმდებლო ბაზა, შესაბამისად, ქვეყანა საჭიროებდა ექსპერტებს აღნიშნული მიმართულებით. ინტერნაციონალიზაციის საკითხთან მიმართებით მნიშვნელოვანია, რომ პროგრამა შედგენილია ინგლისურ ენაზე, შესაბამისა, უნივერსიტეტს შეუძლია მოიზიდოს საერთაშორისო სტუდენტები, განსაკუთრებით მსოფლიოში არსებული პანდემიის მდგომარეობაში. გარდა ამისა დაწესებულებას ჰყავდა პროფესორები, რომლებსა შეეძლოთ ინფორმაციის მიწოდება როგორც ქართულად, ასევე ინგლისურად. აქედან გამომდინარე, ლექტორებს, რომლებსაც უკვე აქვთ ცოდნა მოცემულ თემატიკასთან დაკავშრებით, შეუძლიათ თავისი ცოდნა გაუზიარონ სხვა დაწესებულებების სტუდენტებს, როგორც ქართულ ასევე ინგლისურ თუ სხვა ენებზე. დაწესებულებას ასევე შეუძლია დაამყაროს თანამშრომლობა სხვადასხვა უნივერსიტეტებთან თუ ორგანიზაციებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებსა და ექსპერტებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები და რადგან კითხვები აღარ იყო საბჭო გავიდა შესვენებაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება: 15:29 წუთზე.
საბჭოს სხდომა განახლდა: 15:35 წუთზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტისათვის "გლობალური პოლიტიკისა და უსაფრთხოების კვლევების" (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16[1] მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 86-ე მუხლი პირველი, მე-10 და მე-11 პუნქტების შესაბამისად, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს მიენიჭოს უფლება დაემატოს და განახორციელოს "გლობალური პოლიტიკისა და უსაფრთხოების კვლევების" (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.

15:36- საბჭოს სხდომა დატოვა დავით ბოსტოღანაშვილმა

3. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ანგარიშის განხილვა.

ცენტრის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება. საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ მათ ჰქონდათ თვითაცილება და/ან აცილება. საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ მათ არ ჰქონდათ თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ ასევე მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება, დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, წარმოედგინათ ანგარიში შესრულებულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

პირველ რეკომენდაციას წარმოადგენდა სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაში არსებული მიზნების რაოდენობის შემცირება და შეფასების მეთოდის განვითარება. სტრატეგიული მიზნები იყო დეტალიზებული, რაც განაპირობებდა მათ სიმრავლეს, მაშინ, როდესაც ფორმულირებების მცირედი შეცვლით შეიძლებოდა უფრო ზოგადი და კომპლექსური სახით ჩამოყალიბება. გეგმაში წარმოდგენილი ხუთი სტრატეგიული მიმართულება რეალურად წარმოადგენს ხუთ კომპლექსურ სტრატეგიულ მიზანს: სწავლების განვითარება, კვლევითი საქმიანობის განვითარება და ა.შ. თითოეული მათგანი აერთიანებს ქვე-მიზნებს, რომელთა სიმრავლეც განპირობებულია იმით, რომ კარგად არის გააზრებული და დაკონკრეტებული. იმის გათვალისწინებით, რომ გარე შეფასების შედეგად უნივერსიტეტმა მიიღო რეკომენდაცია სტრატეგიული მიზნების შემცირების თაობაზე, თავიდან დაიწყო გეგმის გადააზრება. გეგმის გადამუშავება მოხდა უნივერსიტეტში არსებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად. საბოლოოდ, გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები ოპტიმიზაციის მიმართულებით. ცვლილებების შედეგად, ჩამოყალიბდა ხუთი კომპლექსური სტრატეგიული მიმართულება.

მე-2 რეკომენდაციას ასევე ეხებოდა სტრატეგულ გეგმასა და პრიორიტეტების განაწილებას. სტრატეგიული განვითარების გეგმაში გარკვეული ოპტიმიზაცია მოხდა, თუმცა, კომპლექსური სტრატეგიული მიზნები - სწავლების განვითარება, კვლევების განვითარება სრულად იყო შენარჩუნებული, ამასთან, დაგეგმილი იყო ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით ღონისძიებები, რაც ასევე სწავლების და კვლევის განვითარებასთან მჭიდრო კავშირშია და ხელს უწყობს მათ. სტრატეგიული დაგეგმვის ვადით გათვალისწინებული იქნასაგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დახვეწის და პროგრამების შინაარსობრივი განვითარების მიმართულებით მთელი რიგი ღონისძიებების გატარება, ასევე, მნიშვნელოვანი ნაბიჯები იქნება გადადგმული სამეცნიეროკვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის და ხარისხის ამაღლების მიმართულებით, შესრულების ინდიკატორები კი უნივერსიტეტს შესაძლებლობას მისცემს გაზომოს, რამდენად უზრუნველყო წარმოდგენილი სახით დაგეგმილი ღონისძიებებით დასახული მიზნების მიღწევა.

რაც შეეხება მე-3 რეკომენდაციას, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია ითვალისწინებდა მონიტორინგის და შეფასების ფაზებს. მონიტორინგის ეტაპზე, მნიშნელოვანია, რამდენად სრულდება ყველა დაგეგმილი აქტივობა. შეფასების ფაზა გათვალისწინებულია იმ მიზნით, რომ უნივერსიტეტმა შეაფასოს, ყველა დაგეგმილი აქტივობის განხორციელებით, საბოლოოდ, რამდენად შეიცვალა კონკრეტული პარამეტრები და რამდენად შეძლო უნივერსიტეტმა დასახული სტრატეგიით მიზნების მიღწევა. თითოეული სტრატეგიული მიზნისათვის, ამოცანების მიხედვით განისაზღვრა შესრულების ინდიკატორები, რომელთა გამოყენებით შესაძლებელი იქნება განსაზღვრა, რამდენად ეფექტური აღმოჩნდა თითოეული გატარებული ღონისძიება სტრატეგიული მიზნების მისაღწევად.

საერთაშრისო ურთიერთობების ჩამოყალიბების საკითხთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ანგარიშში დეტალურად იყო გაწერილი თუ რა ღონისძიებები გაატარა დაწესებულებამ კუთხით ერთი წლის განმავლობაში. მსოფლიოში გავრცელებული COVID-19 პანდემიამ, ბუნებრივია, მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ინტერნაციონალიზაციის პროცესზეც. მიუხედავად ამისა, 2020 წელს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულმა უნივერსიტეტმა გააფორმა რამდენიმე მნიშვნელოვანი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სხვადასხვა საერთაშორისო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და კვლევით ცენტრებთანაღსანიშნავია ასევე, რომ პროგრამას დაემატა ერთი სასწავლო კურსი, თავისუფალი კომპონენტის სახით, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისათვის.

პლაგიატთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პლაგიატთან ბრძოლის მიზნით უნივერსიტეტმა შეიმუშავა ეთიკის კოდექსი, რომლის დარღვევის შემთხვევაშიც გამოიყენება დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომები. უნივერსიტეტმა ასევე შეიმუშავა „პლაგიატის აღმოჩენის რეკომენდაციები აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორებისთვის“, რათა ეფექტურად ებრძოლოს პლაგიატს. ასევე შემოიღო „პლაგიატის გამოვლენის, პრევენციისა და რეაგირების წესი“. ეს წესი ვრცელდებოდა როგორც სტუდენტებზე, ისე აკადემიურ და მოწვეულ პერსონალზე. პლაგიატის თავიდან აცილების მიზნით, უნივერსიტეტმა ჩაატარა სხვადასხვა საინფორმაციო ღონისძიებას, როგორც სტუდენტებისთვის, ისე პროფესორ-მასწავლებლებისთვის. პლაგიატის გამოვლენის, პრევენციისა და რეაგირების წესები გამოქვეყნებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, გარდა ამისა, აკადემიური და მოწვეული პერსონალი სტუდენტებს ინფორმაციას აწვდის პლაგიატის, ეთიკის და შესაძლო სანქციების შესახებ, პლაგიატის გამოვლენის შემთხვევაში. პლაგიატთან ბრძოლის თანამედროვე მეთოდების დანერგვის მიზნით ქართულმა უნივერსიტეტმა 2019 წლის 21 თებერვალს პლაგიატის ელექტრონულად აღმომჩენ პოლონურ კომპანია „Strike Plagiarism“-თან გააფორმა საცდელი ხელშეკრულება, რომელიც უნივერსიტეტს სატესტო რეჟიმში სხვადასხვა ნაშრომებში პლაგიატის ნიშნების აღმოჩენაში გვეხმარებოდა. 2019 წლის 14 ნოემბერს კომპანია „Strike Plagiarism“-თან გაფორმდა სრულფასოვანი 3-წლიანი ხელშეკრულება, რომლის შემდეგაც უნივერსიტეტში სისტემატურად მოწმდება ყველა სადოქტორო დისერტაცია, ასევე დაწყებულია სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომების შემოწმება.

საბჭოს წევრმა, ნუგზარ სხირტლაძემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს დააზუსტებინათ, თუ რამდენი პროცენტიდან იწყებოდა პლაგიატად აღიარება და რამდენი პროცენტი იყო დაშვებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სისტემაში შემოთავაზებული იყო რამოდენიმე კომპონენტი, კერძოდ შესაძლოა სიტყვებისა და წინადადებების დათვლა და მათი შედარება ბაზაზე არსებულ რესურსთან. 5% დამთხვევის შემდგომ თავად პროფესორი ახდენს ნაშრომის შემოწმებას.

დაწესებულების ხარისხის განვითარების სამსახურის უფროსმა ასევე ისაუბრა საკვალიფიკაციოა ჩარჩოსთან შესაბამისობასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ პროგრამის შედეგები და კვალიფიკაციების მოდიფიცირების ვადები ამ რეკომენდაციის მოცემის შემდეგ შეიცვალა. ქართული უნივერსიტეტის პერსონალი ინფორმირებულია ახალი ვადების შესახებ. ასევე, უნივერსიტეტის თანამშრომლები (უპირატესად პროგრამის ხელმძღვანელები) დაესწრნენ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ სპეციალურად ამ მიზნით ორგანიზებულ ტრენინგებს და მზად არიან მოსალოდნელი სამუშაოებისთვის.

რაც შეეხება აკადემიური პერსონალის ინტერნაციონალიზაციის შესახებ ინფორმირბულობის საკითხს, აღსანიშნავია, რომ აღსანიშნავია, რომ თითოეული პროგრამის ხელმძღვანელების ხელშეკრულებებში, მათს ფუნქციებში ერთმნიშვნელოვნად მითითებული იყო ინტერნაციონალიზაციაზე ზრუნვის ვალდებულება, რაც თავისთავად გამორიცხავდა პროფესორების არაინფორმირებულობას ინტერნაციონალიზაციის შესახებ. უნივერსიტეტს აქვს მუდმივად ჰქონდა საიტი, სადაც სისტემატურად, გამჭვირვალედ და ამომწურავად თავსდებოდა ინფორმაცია როგორც სტუდენტთათვის, ისე პროფესორ-მასწავლებელთა და პერსონალისთვის მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით, იქნება ეს საერთაშორისო თუ ადგილობრივი სამეცნიერო კონფერენციების, შეხვედრების, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრების, საერთაშორისო პროგრამებისა თუ სხვა ღონისძიებების შესახებ. ასევე, ნებისმიერი მნიშვნელოვანი და საინტერსო საკითხი პერსონალის საერთაშორისო პროგრამებში ჩართულობასთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს ეგზავნებოდათ თემატიკის შესაბამისად პირად ელ. ფოსტებზე. ინტერნაციონალიზაცია წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სტრატეგიის მნიშვნელოვანი ნაწილია. ამ მიმართულებით გაფორმდა რამდენიმე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სხვადასხვა საერთაშორისო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. მემორანდუმების ფარგლებში უნივერსიტეტის პერსონალს აქვს დამატებითი შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებსა და კვლევებში. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია მხარს უჭერს პერსონალის ჩართულობას მსგავსი სახის საერთაშორისო აქტივობებში, რისთვისაც შემუშავებულია შესაბამისი დაფინანსების წესიც. ამ მხრივ, შესაბამისი სამსახურები არ იშურებდნენ გამოცდილებას, შესაძლებლობებსა თუ უნარებს, რათა მაქსიმალურად შეეწყოთ ხელი კოლეგების საერთაშორისო ღონისძიებებსა და პროგრამაში ჩართულობასა თუ მონაწილეობის მიღებას. უნივერსიტეტი მუდმივად მზაობას აცხადებდა პერსონალის საერთაშორისო მიმართულების განვითარების მხარდასაჭერად და განსახორციელებლად და ყველა აუცილებელი თანმდევი ღონისძიებების გასატარებლად.

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა ასევე სტუდენტთა ჩართულობის საკითხთან მიმართლებით და განმარტა, რომ ქართულ უნივერსიტეტში, როგორც საქართველოს სხვა უნივერსიტეტებში, სტუდენტური თვითმმართველობა წარმოადგენს სტუდენტების პოზიციებს და იცავს მათ ინტერესებს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოზე, თუმცა უნივერსიტეტის სპეციფიკიდან და სიმცირიდან გამომდინარე, გარდა თვითმმართველობისა, სტუდენტებს აქვთ კომუნიკაციის შესაძლებლობა ყველა დონეზე, ყველა მათგანს აქვს შესაძლებლობა ნებისმიერ დროს შეხვდეს უნივერსიტეტის რექტორს, ან/და უნივერსიტეტის კანცლერს, რათა შეძლოს მის წინაშე არსებული პრობლემის მოგვარება. დარგების და საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიზნით, უნივერსიტეტში პერიოდულად იმართება სპეციალისტების შეკრება და

მსჯელობა. ასეთ შეკრებებში სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად, წარმოდგენილი არიან სტუდენტები და ხდება მათი მოსაზრებების განხილვა და გათვალისწინება. უნივერსიტეტის მართვის სისტემას დაემატა გზამკვლევის და საინფორმაციო დოკუმენტების განყოფილება, სადაც განთავსდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სტუდენტთა უფლება-მოვალეობების, აგრეთვე სასწავლო პროცესის განხორციელების, სტუდენტის სტატუსის ცვლილების პროცედურასთან დაკავშირებული და სხვა საკვანძო საკითხების შესახებ ინფორმაცია. მიმდინარე წელს უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის საერთაშორისო აქტივობების გასაუმჯობესებლად შევთავაზეთ სხვადასხვა სახის საერთაშორისო ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია. 2019 წლის მარტში ქართულმა უნივერსიტეტმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა Campus Lions Club Tbilis-თან. სტუდენტებს დაეგზავნათ ინფორმაცია საქართველოს მოქალაქეებისთვის ჩეხეთის სახელმწიფოს 2021/22 აკადემიური წლის სტიპენდიების შესახებ. თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტო (TİKA) მომავალი სასწავლო წლიდან თურქეთის მხარესთან თანამშრომლობით გეგმავს საქართველოდან შერჩეული სტუდენტების თურქეთში სწავლისა და ცხოვრების ხარჯების დაფინანსებას. სააგენტოს გადაეგზავნა აკადემიური მიმართულებების ჩამონათვალი, რომ სამომავლოდ გაითვალისწინონ კონკრეტული სტიპენდიების გამოცხადების დროს. 2020 წლის 20 ოქტომბერს ახალგაზრდულმა საერთაშორისო ორგანიზაცია AIESEC საქართველოს წარმომადგენლებმა ონლაინ შეხვედრა გამართეს უნივერსიტეტის სტუდენტებთან. შეხვედრაზე სტუდენტებმა მიიღეს დეტალური ინფორმაცია AIESEC-ის მოხალისეობრივი და პროფესიული ანაზღაურებადი გაცვლითი პროგრამების შესახებ, რომელიც 126 ქვეყანას მოიცავს. სტუდენტებს მიეწოდათ ინფორმაცია EDU Guide-ის მიერ განათლების საერთაშორისო ონლაინ გამოფენის შესახებ. სტუდენტებს ეცნობათ ამერიკული უნივერსიტეტების პირველი ვირტუალური გამოფენის, EducationUSA Georgia, შესახებ, რომელიც გაიმართა 2020 წლის 7 ნოემბერს. ორგანიზატორები: EducationUSA (აშშ-ის მთავრობის საგანმანათლებლო ქსელი) და საერთაშორისო განათლების ცენტრი, აშშ-ის საელჩოს მხარდაჭერით, ასევე ამერიკული საბჭოები (ვაშინგტონის ოფისი). ინფორმაცია განთავსდა უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. სტუდენტებს ეცნობათ 2020 წლის 27 ნოემბერს გასამართი გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD) მიერ ორგანიზებული ონლაინ საგანმანათლებლო გამოფენის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბიბლიოთეკო რესურსთან დაკავშრებით აღნიშნა, რომ ქართული უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისათვის ახალი, თანამედროვე წიგნებით საბიბლიოთეკო ფონდის გამდიდრება და მკითხველთა ინტერესების დაკმაყოფილება მთავარ მიზანს წარმოადგენს, სწორედ ამ მიზეზითა და რეკომენდაციების გათვალისწინებით, 2020 წლის ნოემბრის მონაცემებით ბიბლიოთეკამ შეიძინა დამატებით 374 წიგნი, მათ შორის, რამდენიმე სერიული გამოცემა. თანამედროვე, სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის ხვედრითი წილის გაზრდის მიზნით, ბიბლიოთეკა აქტიურად თანამშრომლობს „პალიტრა L-ის“ პროექტთან „ლურჯი ოკეანე“, შესაბამისად, ჩვენს წიგნად ფონდში აღირიცხება ბიზნესის, მარკეტინგის, მენეჯმენტისა და თვითმოტივაციის უცხოელ ავტორთა აქტუალური ნაშრომები. წიგნების შეძენისას გათვალისწინებული იქნა სტუდენტთა სურვილებიც და გამოკითხვის შედეგად გამოვლენილი სტუდენტებისთვის სასურველი ლიტერატურა იქნა შეძენილი.

რაც შეეხება ფინანსური დამოუკიდებლობის საკითხს, უნივერისტეტის დაფინანსების ერთ-ერთი წყაროა საქართველოს საპატრიარქოს მიერ გამოყოფილი სუფსიდია გრანტის სახით, რომელიც ყოველწლიურად სახელმწიფო ხაზინიდან ირიცხება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები და რადგან კითხვები აღარ იყო საბჭო გავიდა შესვენებაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება: 16:00 საათზე.
საბჭოს სხდომა განახლდა: 16:05 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 79-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ცნობად იქნეს მიღებული ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დასრულდა 16:15 საათზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ზარანდია თამარ



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ლაღიძე თამარ